



# ასპინძის

## სახელოვნო

ასპინძის მუნიციპალიტეტი \* დეკემბერი. 2016 \* (10)27



### გილოცავთ დაბრუნებულ 2017 წელს და შობის გოგონას!

ძვირფასო ასპინძელებო!  
პატივი მატებს მოგილოცოთ დამდეგი 2017 წელი და შობის ბრწყინვალე დღესასწაული! ღმერთმა ქნას, იგი, მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!  
გასული 2015-2016 წელი მნიშვნელოვანი იყო ასპინძის მუნიციპალიტეტისათვის. წინა წლებთან შედარებით, შექმნილი წამოგვეწყო ახალი პროექტები, რომელთა მეშვეობითაც, ასპინძა ძალიან მალე ინფრასტრუქტურული

თვალსაზრისით უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი გახდება.  
დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა საეკონომიკური ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტები. აღსანიშნავია, რომ ახალმა პროგრამებმა, რომლებიც სოციალური მომსახურების, ჯანდაცვისა და მოქალაქეების მიერ შერჩეული სხვა პროგრამების მიმართულებით განხორციელდა, დადებითი შედეგები გამოიღო მოსახლეობის კეთილდღეობისა და

წინსვლისათვის. ასპინძის მუნიციპალიტეტი უფრო საინტერესო ხდება ტურისტული თვალსაზრისითაც! დაგეგმილია და ხორციელდება კულტურულ ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ეს ყველაფერი კი დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკაზე.  
2017 წელს კიდევ უფრო ეფექტურ ღონისძიებებს განვახორციელებთ ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ძვირფასო ასპინძელებო, დამდეგ 2017 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და აღორძინებულ საქართველოში ცხოვრებას! გისურვებთ სიმშვიდეს, მიმტევებლობას, ერთმანეთის სიყვარულს და უკეთესი მომავლის რწმენას.  
**ლევან ცაბაძე,**  
ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი

### ახალი წლის დადგომა მოგილოცავთ

ახალი წლის შემობრძანებამდე ტრადიციულად თვალს ვავლებთ გასულ წელს, რომელმაც ჩვენი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად განხორციელებული მუშაობა უნდა შეაჯამოს. 2016 წელი საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი იყო საგანმანათლებლო რეაქტივების და ჩვენს ტერიტორიულ ერთეულში შემავალი საჯარო სკოლებისათვის.  
სასწავლო წლის დაწყებას ყველგან წინ უძღოდა ინფრასტრუქტურის მონტაჟი, უფასო სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფა, ინვენტარით, სასკოლო დაფებითა და მერხებით სრულყოფილი აღჭურვა, თვალსაზრისით მასალებით მომარაგება.  
სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

მიზნით ჩატარებული ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობას იღებს ყველა სკოლის პედაგოგი. ტრენინგები გაიარეს სკოლების ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორებმა და შეფასების ჯგუფის წარმომადგენლებმა, სკოლის დირექტორებმა.  
რაიონის 18 სკოლიდან უკვე 10 სკოლის მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ტრანსპორტი უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ემსახურება სასკოლო ტრანსპორტი. ზამთრისათვის ყველა სკოლა მომარაგებულია შესაბამისი რაოდენობის საწვავით.  
ჩვენი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში, ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ინიცირებულ სხვადასხვა კონკურსებსა თუ პროექტებში. ამ დღეებში განსაკუთრებული შედეგით აღინიშნა დაბა ასპინძისა და სოფელ ანციციტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა წარმატება რესპუბლიკურ კონკურსში „მთას ვუბრუნდებით შეილები“, მშენიერი სექტორის წარმომადგენელ რუსთავის, დამალის, ხერთვისის, ორგორის, დაბა ასპინძის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ლიტერატურული თეატრალური კონკურსისათვის, ანციციტის, რუსთავისა და იდუმალის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა – რუსთაველის 850 წლისათვის საიუბილეო ილუსტრაციების საკონკურსოდ და ა.შ.  
სასიხარულოა, რომ 2016 წელს პირველი სექტემბრიდან გაიზარდა პედაგოგების ხელფასი-35 %-ით, ხოლო 2017 წლის იანვრიდან

კვლავ თვალისწინებულია ზრდა. მაღლიერებას გამოვთქვამთ ხელისუფლებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ იმ ზრუნვისათვის, რაც ორგორის საჯარო სკოლის მშენებლობის საკითხის განხილვაში გამოიხატა, კერძოდ, 2016 წელს სამინისტროს სამოქმედო გეგმაში ჩაისვა ახალი სკოლის მშენებლობა, საპროექტო სამუშაოები უკვე დაწყებულია.  
კიდევ მრავალი საქმე გვექონოდა სასიხარულოდ დაგვირგინებული მომავალ წელს. დამდეგ ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს!  
**ტრისტან მურადაშვილი**  
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

### 2017 წელსაც ჩვენი ქვეყანა სიკეთისა და სიმშინდის გზაზე იდგება

მალე 2017 წელი შემობრძანდება. ჩვენ დღეს ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ადამიანებს ნორმალური ანალიტიკური აზროვნება სჭირდებათ, რათა გააანალიზონ, სად არის კეთილი და სად არის ბოროტი. ჩვენ, ქართველები ღვთისმშობლის ხელქვეშა ქვეყანაში ვცხოვრობთ და არ შევცდებით იმაში, თვითონ მივხვდეთ, სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის, სად იწყება ტაძრისაკენ მიმავალი გზა.  
მადლობით ქვეყანაში ღმერთმა 2017 წელს კიდევ ერთხელ დაგვლოცოს, მოგვცეს სიბრძნე, სიმშვიდე და იმედი, რომ საქართველო გამთლიანდეს, მალე დაგვიბრუნდეს ავსაზეთი და სამაჩაბლო.  
უფალი ბრძანებს: „ითხოვეთ და მოგეცემთ, ეძიებდეთ და პოუვებდეთ“. შევთხოვ უფალს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს. ერთიან საქართველოში გაიხაროს ქართველმა ხალხმა და არა მარტო ქართველმა, ყველამ, ვინც საქართველოში ცხოვრობს.  
ღმერთო, მოგვეცი ძალა, რომ მუდამ სიკეთისა და სიმშინდის გზაზე ვიდგეთ. ღმერთო, მოგვეცი ძალა, იმედი იმისა, რომ ახალ 2017 წელს ჩვენი ყველა ფიქრი და ოცნება კეთილად აგვისრულდება.

ნათია მჭედლიძე

### ახალ წელს თოვლის პაპა ყველა სურვილს ამისრულებს

ახალ წელს მინდა, რომ თოვლის პაპა საკვამურიდან ჩამოვრვას და ნაძვის ხესთან ზღაპრის წიგნები მომიტანოს. ყუთით – „უფლტანის მანქანა“, ბევრი, ბევრი შოკოლადები და სათამაშოები ჩემთვის და ჩემი დისთვის. ვიცი, რომ თოვლის პაპა ყველა სურვილს ამისრულებს.

გიორგი ანთაძე, მოსწავლე

### შობა-ახალ წელს გილოცავთ

ულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ, რომ 2017 წელი ყოფილიყოს ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით, სხვათა დატვირთული მთლიანად ასპინძისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

მაკა ბერიძე, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი

### ხვალინდელი უკეთესი დღის იმედი დაგებდებოდეთ

– რას ვისურვებდი 2017 წელს?  
– მე დედა ვარ და პირველ რიგში მინდა, რომ ქვეყანაში მშვიდობა იყოს, მინდა, რომ ყოველ დღით ადამიანები ერთმანეთს უღიმიოდნენ და თბილად ესაუბრობდნენ, მინდა, რომ ოჯახებში პრობლემები არ იყოს და ხვალინდელი დღის შიში არ გვექონდეს, შიში გაჭირვებისა, უფულობისა, უმუშევრობისა, უგზობისა, უშუქობისა, უგაზობისა...  
– ჩვენ ეს ყველაფერი უკვე გავიარეთ, მინდა რომ ქალები ეზოს ჭიშკართან ტოვებდნენ მძიმე ტვირთს და თავი ქალად იგრძნონ.  
დედა ყველაზე ბედნიერი მაშინ არის, როდესაც შვილები კარგად არიან. მეც მინდა, რომ ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა ერთიან, თავისუფალ, ბედნიერ საქართველოში იცხოვრონ. ჯანმრთელობა, სიხარული და ხვალინდელი დღის იმედი და ბედნიერი მომავალი დაგებდებოდეთ!

ლია ალთუნაშვილი

### სიხარული და ბედნიერება არ მოგვლდებოდეს, საქართველო!

2017 წელიც მალე დადგება, ცხოვრება თითქმის გავლიე. კარგიც ბევრი მინახავს და ცუდიც. ქვაზე დადებული მაღლიც ვიცი, რა არის და უსამართლობაც, მაგრამ უკან არასოდეს დამიხევია. წინ ვიხედები და მჯერა, რომ მომავალი 2017 წელი

ბევრ სიხარულს მოუტანს ჩემს ქვეყანას. მჯერა, რომ ჩემი შვილები და შვილიშვილები, პირველ რიგში, ჯანმრთელები იქნებიან და ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრებენ.

მე სომეხი ვარ, მაგრამ საქართველო ჩემი სამშობლოა. აქ დაიბადე, აქ გაიზარდე და აქ არის ჩემი განსასვენებელი. სიკეთე, სიხარული და ბედნიერება დაგებდებოდეს, საქართველო!

კომოს ტონაკანიანი, პენსიონერი

### გილოცავთ

გაზეთ „ასპინძის სიხარულს“, სარდაქციო კოლეგია დამდეგ – 2017 წელს გილოცავთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, სრულიად საქართველოს და გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობიან, ეკონომიკურად ძლიერ და აყვავებულ ქვეყანაში ცხოვრებას.  
ღმერთმა ქნას ამ წელს თითოეული თქვენთაგანისათვის მოუტანოს ახალ-ახალი წარმატებები, გამარჯვებები, შვილთა სიმრავლე და ბედნიერება.

### შობა-ახალ წელს გილოცავთ

ულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ, რომ 2017 წელი ყოფილიყოს ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით, სხვათა დატვირთული მთლიანად ასპინძისთვის და სრულიად საქართველოსთვის!

მაკა ბერიძე,

მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი

### გილოცავთ

გაზეთ „ასპინძის სიხარულს“, სარდაქციო კოლეგია დამდეგ – 2017 წელს გილოცავთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, სრულიად საქართველოს და გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობიან, ეკონომიკურად ძლიერ და აყვავებულ ქვეყანაში ცხოვრებას.  
ღმერთმა ქნას ამ წელს თითოეული თქვენთაგანისათვის მოუტანოს ახალ-ახალი წარმატებები, გამარჯვებები, შვილთა სიმრავლე და ბედნიერება.

### პარძიის გადარჩენისთვის ოთხნობიანი პროექტის განხორციელება დაიწყო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით დაიწყო ვარძიის კომპლექსის გადარჩენის ოთხნობიანი პროგრამის განხორციელება.

მთავრობის დადგენილებით სარეზერვო ფონდიდან ვარძიის კომპლექსისათვის გამოყოფილი იქნა 570 000 ლარი.

კლდეში ნაკვეთი უნიკალური კომპლექსის გადარჩენის ოთხნობიანი პროექტის პირველ ეტაპზე დაგეგმილია მულტიდისციპლინარული კვლევები და მთელი რიგი სამუშაოები.

პროექტის შესაბამისად შეიმუშავებენ ვარძიის კომპლექსის კლდის დაზიანებათა და ქვათაცვევის პირველად რისკებს. დაგეგმილია საკონსერვაციო საჭიროებების პირველადი შეფასებაც. კონკრეტული გადარჩენითი ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება წყლის მასების ფერდობებზე ჩამოდინება, რაც შეამცირებს ქვათაცვევის რისკებს, კონკრეტული რისკების მოხსნით (კლდის ორი ლოდის გამაგრება) აღმოიფხვრება კომპლექსის ფრაგმენტის განადგურების საშიშროება და უზრუნველყოფილი იქნება ვიზიტორებისა და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება.

– „უკვე დაიწყო ამ პროექტის განხორციელება, რაც აქამდე დავანახეთ. ეს არის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რთული ადგილების გამაგრება და განათების მოწყობა“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ.

– ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს უნიკალური კულტურული ძეგლი გადავარჩინოთ და მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ“, – დასძინა ამ პროექტთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ.

### დაუბრუნდება თუ არა ხანძრამდელ მდგომარეობას ვარძიის ფრესკები?..



ციხე-ქალაქი ვარძია საქართველოს დიდება, უკვდავება და სიამაყეა. თამარ მეფის მიერ მე-12 საუკუნეში აშენებულ ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც თავად დედოფალი ფეხშიშველი ადიოდა და ბრძოლის წინ ქართველ ერსა და ჯარს ღმერთს ავედრებდა, დაუდევრობითა და უყურადღებობით გამოჩვეული ხანძრის შედეგად, თამარისა და მეფე გიორგი მესამის უნიკალური ფრესკები ე.წ.ჭვარტლით დაიფარა.

ხანძრის შემდეგ ვარძიის ტაძარი ტურისტებისა და მლოცველებისთვის დროებით დაიკეტა. დღეს აქ უკვე ხარაჩოები აღმართული და იგი მშრალი მეთოდით იმზინდება. ათამდე რესტავრატორი ტაძარში ერთი თვის განმავლობაში დარჩებიან. ამ ხნის განმავლობაში მათ საკმაოდ მძიმე და უსერიოზულესი სამუშაოები აქვთ შესასრულებელი, რომელიც მოვალეობის შუა პერიოდამდე გასტანს.

დაუბრუნდება თუ არა ხანძრამდელ მდგომარეობას კედლის მხატვრობა – ამაზე გადაჭრით პასუხს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო ვერ იძლევა. მხატვარ-რესტავრატორებს კი უნიკალური მხატვრობის ხანძრამდელი მდგომარეობის დაბრუნების იმედს მანამდე აქ ჩატარებული კვლევები აძლევთ. ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტმა აქ ოთხი წლის განმავლობაში მხატვრობის ყველა ფენის თითოეული მილიმეტრი შეისწავლა, რის შედეგადაც მათ უკვე ზუსტად იციან, რა მდგომარეობა იყო ხანძრამდე და რა მასალების გამოყენება შეიძლება მისი კონსერვაციისას.

### მანანა კიკნაძე

### „გახდი შენი რაიონის ნოტარიუსი“

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეგიდით განხორციელდა პროექტი – „გახდი შენი რაიონის ნოტარიუსი“, რომელიც იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით მთლიანად მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა.

აღნიშნული შეხვედრა ნოტარიუს ეთერ ოთანაძის ინიციატივით ჩატარდა.

შეხვედრის ძირითადი მიზანი, ყველა მუნიციპალიტეტში სანოტარო სერვისცენტრებთან ხელმისაწვდომობაა. ორგანიზაციის თქმით, მსგავსი შეხვედრები გაიმართება ასპინძის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სადაც მოხდება მოსახლეობის ინფორმირება ნოტარიუსის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსთან დაკავშირებით. ყველა დაინტერესებულ კანდიდატს შესაძლებლობა აქვს გაიაროს სასერტიფიკაციო გამოცდა, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდება. წლის ბოლოს, 30 დეკემბერს, გამოცდა გაიმართება ზოგად უნარებში, ხოლო მეორე ეტაპზე – პროფესიულ ნაწილში.

ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების მსურველ მაგისტრანტებს შანსი ეძლევათ თავიანთი შესაძლებლობები გამოცადონ და მონაწილეობა მიიღონ კონკურსში და გამარჯვების შემთხვევაში გახდნენ ნოტარიუსები შემდეგ ადმინისტრაციულ ცენტრებში: წყალტუბოში, ქედაში, ცაგერში, მესტიამში, ვანში, ონში, ასპინძაში, ადიგენში, თიანეთში, ამბროლაურში, ნინოწმინდაში. ეს ის მუნიციპალიტეტებია, სადაც ამჟამად საანოტარო სერვისი ხელმისაწვდომი არ არის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული „ნოტარიუსის შესახებ“ კანონი ცვლილებების თანახმად, კანდიდატი, რომელიც ყველა შესაბამის პირობებს დააკმაყოფილებს, სამი წლის ვადით დაინიშნება ნოტარიუსად იმ დასახლებაში, სადაც საანოტარო მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მას საქმიანობის გაგრძელება მისთვის სასურველ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში შეეძლება.

### დაიწყო და მიმდინარეობს მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ასპინძის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული ინდენარმე „საღვან ქოსიანი“ ახორციელებს.

აღნიშნული სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 31 305 ლარი. მუსიკალურ სკოლაში და ბიბლიოთეკაში შეიცვლება კარ-ფანჯრები, მოეწყობა ტიხრები, გარე კიბეები და ბაქნები.

### მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს

მიუხედავად ზამთრის ცივი დღეებისა და ყინვებისა, მუნიციპალიტეტში აქტიურად და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგზაო-ინფრასტრუქტურული სამუშაოები – დაბა ასპინძაში მყარი ნარჩენების ნაგავსაყურის მიმართულებით მიმდინარეობს ორ კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-მოასფალტება.

აღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „არალი“ და შესრულდება 342 967 ლარის სამუშაოები,

ასევე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მისასვლელი გზის სამშენებლო-სამუშაოები თოკსა და ვარგავეში. დაწყებულია პირველი ეტაპის სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს ბეტონის საფარის მოწყობას. აღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს სამშენებლო კომპანია შპს „ცენტრ-ლაინი“, რისთვისაც გამოყოფილია 98 000 ლარი.

დაბა ასპინძაში უკვე დამთავრდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია - მოასფალტება. ტენდერში გამარჯვებული შპს „არალის“ მიერ და მასზე დაიხარჯა 369 480 ლარი.

### პატარებს ეკოლოგიურად სუფთა, ლამაზი ავეჯი და სათამაშოები ექნებათ

ასპინძის სკოლაში აღზრდის დანერგვების მიზნით (ოთხი დანერგვებისთვის) უკვე შემოტანილია 28 000 ლარის ღირებულების ავეჯი – კედელი, კარადები, კუთხის კარადები, მაგიდები, საბავშვო გასახდელის გრძელი სკამები. ასევე – ხალიჩები, საბავშვო პლედები, თეთრეული, ელექტრო საცხობი, სარეცხი მანქანები.



ეტაპობრივად შემოვა საოფისე ავეჯი, გასახდელის კარადები, საკიდეები, ბავშვის სანოლები, ლეიბები, საბნები, ბალიშები და სხვ.

საგარეოდ, 2016 წლის ბოლომდე ავეჯის შემოტანა მთლიანად დამთავრდება.

ასპინძის სკოლაში აღზრდის დანერგვების მიზნით აღსაზრდელისთვის უკვე შემოტანილია 26 000 ლარის ღირებულების სათამაშოები. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შემოტანილ თითოეულ ნივთს თუ სათამაშოს აქვს თავისი ხარისხის სერთიფიკატი, რაც იმის დასტურია, რომ ყველაფერი ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოა და ხარისხიანი.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართული ოცნების“ წინასწარჩევი დეპუტატის შესრულება უკვე დაიწყო, კერძოდ, #2 საბავშვო ბაღში, დაპირებისამებრ, დაემატა ერთი ჯგუფი,

სადაც ჩაირიცხა სასკოლო ასაკის ბავშვები ახლომდებარე სოფლებიდან, სულ 25 ბავშვი, მათ შორის – აწყვიტიდან, ნიჯგორიდან, დამალიდან, იდუმალიდან, ოშორიდან, ივერიიდან.

აქვე დავძენთ: მუნიციპალიტეტის სკოლაში აღზრდის დანერგვების მიზნით საბავშვო ბაღში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ პატარებმა აქ თავი იგრძნონ კომფორტულად, დაცულად და შინაურ გარემოში. რაც შეეხება #1 და #2 საბავშვო ბაღებს, ისინი მთლიანად აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს.

ამ ეტაპზე ვემზადებით საახალწლო ზეიმი-სათვის. ყველა ჯგუფს აქვს სამუშაო გეგმა, მოეწყობა ჯგუფის შიდა კონცერტები და ჩვენი ბაღების ყველა აღსაზრდელს გადაეცემა საჩუქრები „თოვლის პაპისაგან“. ამისთვის კი ბიუჯეტიდან 1200 ლარია გამოყოფილი.

ნანა ტივაძე

### დაბას გააღებენ

მიწურა 2016 წელიც. სულ მალე იგი ისტორიის საკუთრება გახდება. ამ წელმა თითოეულ ჩვენთაგანს ბევრი კარგი დაგვიტოვა და, რასაკვირველია, ცუდიც. თუმცა ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანისათვის ყველაფერი იმით განისაზღვრება, ჩვენს გარემო რა კეთდება, ეკონომიკური მდგომარეობით როგორ გრძნობს თავს და ა.შ.

რაიონის სინამდვილეში უკანასკნელი წლებში რომ საგრძნობლად ბევრი რამ გაკეთდა, ურწმუნო თომა უნდა იყო, რომ არ დაინახო და არ დაიფერო.

ქვემოთ (სურათზე) თქვენი ხედავთ ხარაჩოებში ჩასმულ ასპინძის კულტურის ცენტრის შენობას. მან წლებია დაკარგა თავისი იერსახე, სხვა კულტურული დანერგვების მსგავსად, მასაც საგრძნობლად აკლდა მზრუნველი ხელი. თუმცა ყინული ადგილიდან დაიძრა და ბევრი სასიკეთო საქმეს კიდევ ერთი ღრუსშეწინააღმდეგე სახეცვლილი კერა შეემატება ჩვენს დაბას.

როგორც ვიცით კულტურის ცენტრში სამ ეტაპად მიმდინარეობს მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები და სულ მალე იგი ევროსტანდარტის დონეზე მოემსახურება მოსახლეობას.

გარდამავალ ობიექტს იანვარში მოეხსნება ხარაჩოები და ექსპლოატაციაში შევა. ვფიქრობთ, მისი რეაბილიტაციის შემდეგ იგი ერთ-ერთი საუკეთესო შენობათაგანი იქნება დაბაში და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის კულტურული მომსახურების დონე.

საკ. ინფ.

# ძველ-ჭობარლებსაც პუსმიწოთ!..

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ზველი ასპინძიდან თხუთმეტოდე კილომეტრში, მტკვრის ხეობაში, ქარაფების თავზე, გაშლილ ვაკე ადგილზე მდებარეობს, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს მთელ ხეობას. იგი დიდი, გამირული ისტორიისა და წარსულის მქონე სოფელია, მას დასავლეთის მხრიდან, თითქმის ერთ კილომეტრში, ასევე ანალოგიური წარსულის, ძირძველი სოფელი ჭობარეთი ესაზღვრება. აღნიშნული სოფლების სასაზღვრო მიჯნას წარმოადგენს ხელოვნური ტყის ზოლი, რომელსაც „ზოლებს“ უწოდებენ. ორივე სოფელი დასახლებულია უხსოვარი დროიდან ძველი მესხებით, მათ მრავალი ჭირ-ვარამი ერთნაირად აქვთ გამოვლილი და მოიაზრებიან, როგორც ერთი და იგივე მოსახლეობა, თუმცა, მათ ხასიათსა და ქცევაში დიდი განსხვავებაცაა – როგორც მესხეთის სხვა მეზობელ სოფლებში, აქაურებსაც უყვართ ხუმრობა და ერთმანეთის მუდმივი ქილიკი.

ერთხელ ზველელები ჭობარელ სახალხო მთქმელს – ზაურ ჯვარიძეს ცოტა ზედმეტად გაეხუმრნენ, მან კი მათ, ექსპრომტად, ლექსი მიუძღვნა და გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ გამოაქვეყნა. ზველელებმა სახალხო მთქმელმა ალექსანდრე ზედგინიძემაც არ დააყოვნა, ლექსითვე უპასუხა და, ორივე ერთად, ინტერნეტში განათავსა. ცოტა ხანში ზაურ ჯვარიძემ კოლეგას ახალი ლექსი „გამოუცხო“.

მესხი სახალხო მთქმელების შემოქმედებაში სოფლების გალექსვა არახალია, მით უფრო, ძირძველი მესხებით დასახლებულ ტრადიციულ სოფლებში. რეგიონში თითქმის არ არსებობს არცერთი სოფელი, რომელთაც სხვადასხვა დროში, მელექსეთა მახვილი კალამი არ შეხებია. ქვემოთ წარმოდგენილი ლექსებიც შესანიშნავად ასახავენ ამ სოფლების ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და, იგი, ვფიქრობთ, ძვირფასი შენაძინი იქნება ქართული ფოლკლორისათვის.

გიორგი ჯვარიძე

## ზველელებს

არ მოეშვება ზველელი  
თუთის არაყის სმასაო,  
ხალხიც კარგია, რა უშავთ,  
ფერით კი გვანან ყვავსაო.

რაც ჭობარეთის წყალს სვამენ,  
გემო გაუგეს წყალსაო,  
შავები მიტომ არიან,  
წვიმით იბანდნენ თავსაო.

ქარაფის ქარი უბერავთ,  
სახეში აყრის მტვერსაო,  
ჩვენ გვეძახიან „ნემენცე(ვ)ს“,<sup>1</sup>  
თვითონ კი გვანან „პლენსაო“.<sup>2</sup>

„ბ,“<sup>3</sup> სად დაკარგე, ზველელი,  
ლობიეთში<sup>4</sup> თუ ქორეთში<sup>5</sup>,  
თუ მტკვარზე ბანაობისას,  
რომ იხრჩობოდი მორევეში?

ზაურ ჯვარიძე

პასუხი ჭობარლებს,  
კერძოდ, ზაურ ჯვარიძეს  
ხედავთ, რა დაუწერია  
„კუდიჩსა“,<sup>6</sup> ზაურისაო,  
არ ეშინია არც ჩვენი,  
არც აურზაურისაო.  
როდის იყო, რომ ზველელი

1 ნემენცი (გერმანელი). მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, მოსახლეობაში ასოცირდება, როგორც დამპყრობელ-ოკუპანტი. ზველელები ჭობარლებს ხუმრობით უწოდებენ „ნემენცებს“, იმის გამო, რომ ძველ დროში, ზველელები თითქოს დასაკუთრებიან მათ სახნავ მიწებს და ამჟამად „სასოფლო“ მიწებად მოიხსენიებენ;  
2 პლენი – გერმანელი ფაშისტების მიერ ტყვედ ჩაგარდნილი საბჭოთა მეომარი.  
3 „ბ“ – უნინ ეს ასო-ბგერა „ზველელების ლექსიკონში“ არ არსებობდა, მის მაგივრად „ვ“-ს ხმარობდნენ. მაგალითად, „ჭობარელი“ – „ზველელების ენაზე“, ითქმებოდა – „ჭოვარელი“. ყანები – „ყანევი“, ბადრი – „ვადრი“.  
4 ტოპონიმი  
5 ტოპონიმი  
6 კუდიჩსა ზაურისა – მქტსახელი.



არ სვამდა თუთის არაყსა,  
დალევდა, სიტყვას იტყოდა,  
თან მოყვებოდა არაკსა.  
პასუხს ახლავე გიბრუნებ, –  
სიტყვები მეტად გრძელია,  
იცი, რას გეტყვი პასუხად? –  
არ მიყვარს სიტყვა გრძელია,  
ვინც შემოგხედავს, მიხვდება,  
რომ მართლა გაგიფრენია.  
ქუდი გახურავს, თუმცა-ლა,  
დამგვანებინებ ბოშასა,  
მინც სულ არა გრცხვენია, –  
ამოფარე ქოშასა.  
რამ გააშავა ზველელი, –  
თავს რატომ იღებ შარშია,  
რაც ჭკუა გქონდა, საბრალოვ,  
გაგლავებია სმასაო.  
თუ ვართ „ნემცები“, იცოდეთ,  
არ გყავთ ზველელი „პლენია“,  
მაგის დამწერსა, გაიგე,  
მგონია, გაუფრენია.  
წყალსა გვაყვებოდა, უღმერთოდ, –  
ამას არ იტყვის მტერი,  
გაჭირვების დროს რაღა ვქნათ,  
შენს ხელში შემომხედა.  
ჯერ ერთი, წყალი საყვერის<sup>7</sup>  
თქვენი არ არის, ტიალო,  
ვერ ნახე, ალბათ, ადგილი,  
საშენო, სახეტიალო!

ნეტავ მაშინ რას იზამდი, –  
კაცს რომ დასჭირდეს წამალი?  
დღესასწაულზე გენვევი,  
დაკალი შავი მამალი.  
ქათმის ჭამის დროს, იქნება,  
ძვალი გაგექცეს ყელშია,  
ჩაგიყვან, მაგრად შეგჯორავ,  
ემანდ, „ნარგიზას ხეშია“.<sup>8</sup>  
მაჭიხეთ<sup>9</sup> ხელში გიჭირავს,  
როგორც ეშმაკის კუდია,  
ჭობარლებს ამას გეტყოდით:  
თავს დაგეხურეთ ქუდი!

ალექსანდრე ზედგინიძე


## პასუხი ზველელებს

ზაურას კეთილ ხუმრობამ,  
სულ გადარია ზველიო,  
დაჯდნენ, დანერეს პასუხი,  
გულზეც დაირტყეს ხელიო.

ზოგი ხმალს ლესავს, გიჟდება,  
რა გაგვიბედა, ჩვენაო,  
უნდა დაუხვდეთ „ზოლევთან“,<sup>10</sup>  
ჩნაკემენდინოთ ენაო.

სოფელში სარკე აკრძალეს, –  
არ ვნახთო ჩვენი ფერიო,  
არ გვინდა, არ ჩავიხედოთ,  
არ გავიმწაროთ დღენიო.

7 საყვერი-მთები ჭობარეთის ტერიტორიაზე, საიდანაც სასმელი წყალი მოენოდება აღნიშნულ სოფლებს.  
8 ნარგიზა ხევი – დამშრალი ხევი ჭობარეთის ტერიტორიაზე.  
9 მაჭიხეთი – ჭობარეთის მფლობელობაში არსებული ბალები და საზამთრო საძოვრები, ამ ტერიტორიის საზღვარი იწყება სოფელ მუსხის დასახლებიდან და მთავრდება ხოფელ ხეობის გასათან მისი მდებარეობა ისეთია, რომ ხელი ეშლებათ მუსხის, ურავლის და ხეობის სოფლებს თავიანთი კუთვნილი საძოვრების ჯეროვნად გამოყენებაზე.  
10 ზოლევით – ტოპონიმი



რათ გიჟდებიან, არ ვიცი,  
რატომ წუნობენ ფერსაო,  
მთელს დუნიაზე „ზაგრისთვის“,  
ეფიცებიან მზესაო.  
მათ „ზავადსკოი“ ფერი აქვთ,  
ტყევი დამპალი ხისაო,  
ათნი თუ ერთად გაჩერდნენ, –  
დაბნელება მზისაო.

„ჯანჯღვევი“,<sup>11</sup> ძროხე(ვ) მწყემსავენ,  
სანხოველაზე – ცხვარსაო,  
კოკოლას სომინს აქვე(ვ)ენ  
და ჭო(ვ)არლე(ვ)ის წყალსაო.

პანტალულს<sup>12</sup> ეფოფრებიან –  
არ აკარე(ვ)ენ სხვასაო,  
თუ ჭო(ვ)არლე(ვ)ში გადავლენ –  
ქვას შეუშვერენ თავსაო.

ყანე(ვ)ი დახნეს ტრაქტორით, –  
აპრილი იდგა თ(ვ)ილიო,  
ქერე(ვ)-ლოლე(ვ)ი დათესეს,  
მოსავალს უჩანს პირიო.

დაჯდნენ, დალიეს არაყი  
და ადღეგრძელეს ზველიო,  
ერთ-ერთს შეხედეს სახეზე,  
არ მოეწონათ ფერიო.

– მართლა, რა შავი ყოფილხარ, –  
დამგვანებინებ ყვავსაო,  
ემშაკებისა მამხალავ,  
როგორღა იღებ ხმასაო...

დაიწყეს განსჯა-ბაასი  
და დაემდურნენ ბედსაო,  
ყვავ-ყორანს ვგვანებოვართ და  
ჩვენს თავს ვადარებთ მგლებსაო.

იხებს შავი ხელები,  
არ დაიშურეს ქვიშაო,  
ეკონათ გათეთრდებოდნენ  
რუჯი ეგონათ მზისაო.

რა ეშველებათ ზველელებს, –  
არ შეეცვლებათ ფერიო,  
ვიდრე ქარაფის ქარი ქრის, –  
არ გათეთრდება ზველიო.

ერთი-ორი ჰყავთ მოთეთრო,  
ცოტათი მსგავსი ჩვენიო,  
თან „ტარხუნა“ ჰყავთ მელექსე, –  
ზველელებსა გადამჩრენიო.  
\*

პასუხი გამომიგზავნა  
უაზრო, მოსაწყენიო,  
სულ გააკვირვა მესხეთი  
და გაახარა ზველიო.

ვინც ხუმრობს, ისევე იხუმროს,  
სიცოცხლე ჰქონდეს გრძელიო,  
ვინც იბოლმება, იბოლმოს,  
ბოლმით იმოკლოს დღენიო!

ზაურ ჯვარიძე

## განმეორებითი პასუხი ზველელებს, კერძოდ, ალექსანდრე ზედგინიძეს

„ტარხუნა“ ხარ თუ „ლენცოფა“,  
პასუხს რატომ მწერ ღვარძლითა,  
ვის გაუგია ხუმრობა

11 ჯანჯღვევი, სანხოველა და კოკოლა-ტოპონიმებია ანუ ადგილებია ზველში და სახელწოდებაც დანერვილია „ბ“-ს გარეშე, ჯანჯღვები-ჯანჯღვევი, სანხოველა-სანხოველა.  
12 პანტალული – საძოვრები ზველში.

ნიშნისგებით და ლანძღვითა.

ძველ ქუდს მიწუნებ, რისთვისა? –  
ქუდი ნამუსის ტოლია,  
ალბათ, შენც დაიხურებდი, –  
საქუდე თუმც არ გქონია.

მე სულით, გულით ვფასებ  
ზველელებსა და ზველსაო,  
ეხუმრებიან „ჯიგარ“ ხალხს,  
არა სულელს და შტერსაო.

სიტყვა იხმარე – „სატანა“,  
რომ გაგერიტმა სტროფიო,  
კაცს რაღას არ ათქმევინებს  
სისულელე და ცოფიო.

„ბოშები“ კარგი ხალხია,  
ნეტავ შენც ჰგავდე ბოშასა,  
კეთილი ხუმრობის გამო,  
არ დაიწყებდი როშვასა.

რა ნამლებს ითხოვ, არ ვიცი,  
მათეთრებულს თუ „ფეირსა“,  
ტყუილად გაისარჯები,  
მანც ვერ ნახავ ხეირსა.

რამ შეგაძულა, „ტარხუნა“,  
ქართველ კაცს – შავი ფერია,  
თუ მართლა გულით ბრაზდები,  
შენ მართლაც გაგიფრენია.

თუ შუბლის ძარღვი მთელი გაქვს,  
წყლით დაიბანდი ენასა,  
კაცურად მოიქცეოდი,  
არ გაუჩრევდი წყენასა.

ხუმრობა გინდა? ვიხუმროთ,  
მაგრამ ნუ ურევ ღვარძლსაო,  
არ გინდა? მაშინ შეგწყვიტოთ,  
ტკბილი სიტყვა სჯობს შხამსაო!

ზაურ ჯვარიძე

იმის გამო რომ მათ არ სწყენოდათ,  
მანვე ახალი ლექსით რეალური ზველი  
წარმოგვიდგინა

## სოფელი ზველი

ქარაფის თავზე, ვაკეზე,  
„სახლობს“ სოფელი ზველიო,  
ხალხი მშრომელი, კეთილი,  
წინე-ჩვეულებით – ძველიო.

ახოვანნი და გულფიცხნი,  
პირდაპირნი და ბრძენიო,  
ჯანმრთელი გოგო-ბიჭები,  
მხარბეჭიანნი, მხნენიო.

ისტორიული გვარებით, –  
მეფე ერეკლეს მცველიო,  
ჭირ-ვარამ გამოვლილები, –  
გაჭირვებაში – მთმენიო.

თავადთა შთამომავლები,  
მფლობელნი მიწა-წყლისაო,  
თამადობაში განთქმულნი,  
ოსტატნი სიტყვის თქმისაო.

მუდმივად მგლოვიარენი  
დახოცილ ბიჭებისაო,  
ერთ ღამეს დახვრეტილები  
თვრამეტი ვაჟკაცისაო.<sup>13</sup>

სახნავ-სათესი ბევრი აქვთ,  
ქონება – გლეხკაცისაო,  
შრომაც იციან, მოლხენაც  
და დაცვა ადათისაო.

ქეფი უყვართ ძალიან  
და ჩხუბი სიმთვრალისაო,  
გაბუტვა მათთვის უცხოა, –  
არ ახსოვთ წინა დღისაო.

ლობიეთი და ქორეთი,<sup>14</sup> –  
სამოთხე ხეხილისაო,  
თევზი და თუთის არაყი,  
ნაბოძვარი აქვთ ხეთისაო.

ქარაფის თავზე ცხოვრობენ,  
მეზობლად მნათობისაო  
და ჭირვეული მთებისგან  
მფარველობს მადლი ხეთისაო!

13 ერთ ღამეში დახვრეტილები – 1918-1921 წლებში თურქებთან ბრძოლაში დაღუპული ზველელები, მათგან ცხრა მამაკაცი და ერთი ქალი თოკისა და გოკის ბეგებმა – აბაშიძეებმა დახვრეტეს.  
14 ლობიეთი და ქორეთი – ტოპონიმებია

